ეროვნული ბიბლიოთეკა



# თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

16. VIII. 1991 ფასი 50 კაპ. № 30 (35)



## „ნათლითა პირისა შენისათა ვიდოდეთ“



**ფერისცვალება** უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი — მისი ნათლით შემოსვის დღესასწაულია.

ქრისტემ მოწაფეთა წინაშე შეიმოსა **ნათელი ღმრთეებისა** და ამით წინასწარ გვიჩვენა **„განახლება იგი და შეცვალება კაცთა, რომელი ყოფად არს საშინელსა მას მეორედ მოსლვასა“** (ცისკრის ფსალმუნების საგალობელი).

როდესაც ნათლით შემოსვაზე ვლაპარაკობთ, როდი ვგულისხმობთ ბუნებრივ სინათლეს, რომლის უმთავრესი წყარო დედამიწის მცხოვრებთათვის — მზეა. **ნათლის** ცნებას ქრისტიანულ მოძღვრებაში უმდიდრესი შინაარსი აქვს.

**ჭეშმარიტი ნათელი**, იოვანე მახარებლის სიტყვით, არის თავად უფალი იესუ ქრისტე (იოვანე 1,9; I იოვანე 2, 8), რომელიც თვითონვე წამებს ამას: „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ“ (იოვანე 8, 12), „მე ნათელი სოფლად მოვივლინე“ (იოვანე 12, 46).

„ნათელად“ იყო ნაწინასწარმეტყველევი ქრისტე ძველი ალთქმის საღმრთო წერილშიც: „ერმან, მავალმან ბნელსა შინა, იხილა ნათელი დიდი. დამკვიდრებულნო სოფელსა შინა და აჩრდილთა სიკუდილისათა, ნათელი განბრწყინდა თქუენ ზედა“ (ეს. 9, 2; შდრ. მათე 4,16). ქრისტე არის „ნათელი ნათლისაგან“, რადგან „ნათელად“ იწოდება წმიდა სამების თითოეული ჰიპოსტასი: მამა, ძე და სულიწმიდა. **ნათელი მამისა** — ადამიანთათვის საცნაური გახდა ძის საშუალებით: „რომელმან მიხილა მე, იხილა მომავლინებელი ჩემი“ (იოვანე 12, 45; შდრ. 14. 9). ამასვე მოწმობს დავით წინასწარმეტყველი, როდესაც გალობით იტყვის: „ნათლითა შენითა ვიხილეთ ჩუენ ნათელი“ (ფს. 35,10). **სულიწმიდის ნათელი** კი ცეცხლის ენების სახით გახდა საცნაური (საქმე მოც. 2, 3). ცეცხლისა და ნათელის, როგორც სულიწმიდის სახეების, ურთიერთდაკავშირებას, ვხედავთ ესაიას წინასწარმეტყველებაში: **„და იყოს ნათელი ისრაელისა ცეცხლად** და განწმიდოს იგი ცეცხლით მგზებარითა და ჰამდეს, ვითარცა თივასა, ნივთსა“ (ეს. 10, 17).

„ნათელი და ნათელნი“ — ასე უწოდებს წმ. ანდრეა კრეტელი წმ. სამებასა და მის ჰიპოსტასებს:

ნათელი — მამა.
ნათელი — ძე.
ნათელი — სული წმიდა.

ფერისცვალების „განმანათლებელში“ ვკითხულობთ: „ნათელო უცვალებელო, სიტყუაო ნათლისა მის მამისა უშობელისაო, გამოჩინებულითა მით ნათლითა შენითა დღეს თაბორს ზედა ნათელი ვიხილეთ მამა, ნათელი — სული წმიდა, განმანათლებელად ყოველთა დაბადებულთათვის“.

გარდა ღმრთეებისა, „ნათელად“ მოიხსენებიან მისი უპირატესი ქმნილებებიც: ანგელოზნი და კაცნი. გრიგოლ ღმრთისმეტყველის სიტყვით, ღმერთი არის **პირველი ნათელი; მეორენი** არიან ანგელოსნი, ხოლო მესამენი — კაცნი.

სიბნელე — უღმრთოების სინონიმია, ნათელი — ღმრთის მეცნიერებისა. პავლე მოციქული მისწერს ეფესელთ; „რამეთუ იყუენით ოდესმე ბნელ, ხოლო აწ ნათელ ხართ უფლისა მიერ; ვითარცა შვილნი ნათლისანი ვიდოდეთ“ (ეფეს. 5, 8). ხოლო თესალონიკელთ მისწერს: „ თქუენ ყოველნი შვილნი ნათლისანი ხართ და შვილნი დღისანი; და არა ვართ ღამისანი, არცა ბნელისანი“ (I თესალ. 5,5).

ნათელი — **ცხოვრებისა**, ქრისტეს მაცხოვარების გამომხატველიცაა. ღმრთისმეტყველის თქმით „ცხორებაჲ იგი იყო **ნათელ** კაცთა“ (იოვანე 1, 4). ქრისტე განხორციელდა კაცთა ცხოვრებისათვის (ე. ი. სიკვდილისაგან ხსნისათვის). ამ აზრით ამბობს იგი: „ნათელი (ე. ი. ცხოვრება) ვარ სოფლისაჲ“ (იოვანე 9, 5). ვინც ქრისტეს შეუდგება, იგი თავს დააღწევს ბნელს (სიკვდილს) და მოიპოვებს ცხოვრების ნათელს (იოვანე 8, 12).

„ნათელს“ ცხოვრების მნიშვნელობით ხმარობს წმ. მეფე და წინასწარმეტყველი დავითიც, როდესაც გალობს: „უფალი — ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა“ (ფს. 26,1); „ნათელი გამოუბრწყინდა მართალსა და გულითა წრფელთა — სიხარული“ (ფს. 96, 11).

ნათელი — საღმრთო მადლი და ძლიერებაა. რამდენადაც ღმრთის ნების მყოფელია ადამიანი, იმდენადვე შეიმოსება იგი ნათლით. ქრისტე თავის მოწაფეებს „სოფლის ნათელს“ უწოდებდა (მათე 5, 14). მოციქულებს სანთლის მსგავსად უნდა გაენათებინათ მთელი ქვეყანა: „ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (მათე 5, 16).

ნათლით შემოსვა მადლით განღმრთობის მომასწავებელია. ისევე, როგორც უფალმა „შეიმოსა ნათელი, ვითარცა სამოსელი“ (ფს. 103,2), ქრისტეს მიმდევარიც შეიმოსავს **ცხოვრების ნათელს**: „რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისაჲ“ (იოვანე 8, 12).

ხალხში გავრცელებულია „ნათლით“ მიცვალებულის მოხსენების სხვადასხვა ფორმები: „ღმერთმა გაანათლოს მისი სული“; „ნათელში ამყოფოს ღმერთმა“ და ა. შ. გულუბრყვილო მორწმუნემ შეიძლება წარმოიდგინოს, რომ აქ ბუნებრივ სინათლეზეა ლაპარაკი. ნათელში ყოფნა საამურია, სიბნელეში კი — უამური.

სულის განათლება სინამდვილეში გულისხმობს გაცილებით დიდსა და მნიშვნელოვანს. ესაა საღმრთო ჭეშმარიტების შეცნობა, ცხოვრების სულის შეწყნარება, საღმრთო მადლით აღვსება და ზეცათა სასუფეველში დამკვიდრება. ამრიგად, გამოთქმა — „ღმერთმა გაანათლოს მისი სული“ — ტოლფასია სხვა გამოთქმისა: „ღმერთმა აცხოვნოს მისი სული“.

ცხოვრების მომნიჭებელი, და, მაშასადამე, განმანათლებელი ჩვენი, „რომელმან განაღმრთო კაცება“ (ნათლისღების „განმანათლებლიდან“), — არის უფალი ჩვენი იესუ ქრისტე. „ნათელი ქრისტესი განგანათლებს ყოველთა“, — წარმოითქმის სიწმიდის განახლების ლიტურგიის აღსრულებისას.

საღმრთო ნათელის აღმობრწყინებას ხანდახან ცოდვათა მიტევებასა და განწმედას უკავშირებენ. მაგალითად, მე-4 ხმის „განმანათლებელში“ ვკითხულობთ: „რომელმან ნათელი აღმოუბრწყინვე სოფელსა, ბნელსა შინა მყოფი სულნი ჩუენნი განწმიდენ ყოვლისაგან ცოდვისა“.

ნათლით შემოსვა უფლისა — ფერისცვალება — გამომხატველია მისი საღმრთო ბუნების ძალით **კაცობრივი ბუნების განათლებისა.** „დღეს ქრისტემან მთასა ზედა თაბორსა, ადამისა შესცვალა დაბნელებული ბუნება, და ღმერთ-ყო განმანათლებელმან მისმან“ (დღესასწაულის საგალობელი). ესაა ქრისტეს მაცხოვარებითი მისიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი. ბნელ სიკვდილთან შეუღლებული კაცთა ბუნება განთავისუფლდა ღმრთეების ძალით. კაცთა შორის პირველმა, ახალმა ადამმა — იესუ ქრისტემ — თავისი საღმრთო ბუნებისაგან უხრწნელება და ზეციური ნათელი მიიღო. ფერისცვალება უფლისა, და მისი დაგვირგვინება ბრწყინვალე აღდგომითა და ზეცად ამაღლებით — კაცთა მოდგმის განათლების (ცხოვრების ნათლით შემოსვის), უკვდავებასთან ზიარების საწინდარი გახდა.

ფერისცვალება სამ სახარებაშია მოთხრობილი: მათეს (17, 1-9), მარკოზისა (9, 2-9) და ლუკას (9, 28-36) სახარებებში. როგორც ისინი გადმოგვცემენ, უფლის ფერისცვალებას წინ უძღოდა საუბარი იერუსალიმად აღსვლის, ვნების, სიკვდილისა და აღდგომის შესახებ. მათე და მარკოზ მახარებლების მიხედვით ფერისცვალება მომხდარა ამ საუბრიდან 6 დღის, ხოლო ლუკა მახარებლის მიხედვით — 8 დღის შემდეგ.

იესუმ წაიყვანა თავისი სამი მოწაფე: პეტრე, იაკობ და იოვანე და ავიდნენ მაღალ მთაზე (ტრადიციით — ესაა თაბორის მთა, იერუსალიმის მახლობლად). იქ მოწაფეთა წინაშე ქრისტემ **ფერი იცვალა „სხუად ფერად“**: მისი პირისახე მზესავით გაბრწყინდა, სამოსელი თოვლივით სპეტაკი გაუხდა. გამოჩნდნენ მოსე და ელია წინასწარმეტყველები, რომლებიც უფალთან საუბრობდნენ მომავალი ვნების შესახებ.

პეტრე მოციქულმა იესუს მიმართა: „უფალო, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ, და თუ გნებავს, ვქმნნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა, და ერთი მოსესა და ერთი ელიასა“ (მათე 17, 4; შდრ, მარკ. 9, 5; ლუკა 9, 33).

მოციქულებს უჩრდილავდათ **ღრუბელი ნათლისა**, საიდანაც მოისმა ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ; მაგისი ისმინეთ“ (მათე 17, 5; შდრ. მარკ. 9, 7; ლუკა 9, 35). შეშინებული მოწაფენი პირქვე განერთხნენ, სანამ იესუ არ მოვიდა და ხელი არ შეახო. ზემოთ რომ აიხედეს, ნახეს, რომ ჩვენება დასრულებულიყო.

მახარებელთა თხრობა უმთავრესად ერთმანეთისას იმეორებს, განსხვავებულია მხოლოდ ცალკეული ნიუანსები, რომელთაგან ზემოთ აღვნიშნეთ ერთ-ერთი: მათე და მარკოზ მახარებლები ექვს დღეს ასახელებენ, ლუკა — 8 დღეს. კომენტატორთა ერთსულოვანი დასკვნით ამ ცნობებს შორის წინააღმდეგობა მოჩვენებითია: მათე და მარკოზი ითვლიან მხოლოდ შუა დღეებს, პირველი (ვნების შესახებ საუბარი) და ბოლო (ფერისცვალების) დღეების ჩაუთვლელად. ლუკა მახარებელს კი ორივე მათგანი შეაქვს სათვალავში.

რიცხვების — ექვსისა და რვის — დამოწმება სახარებაში მისტიკური აზრის გამომხატველადაა მიჩნეული. ექვსი — ესაა საერთო რიცხვი ყველა ხილული არსებისა, რომელიც უფლის ფერისცვალების ჟამს თაბორის მთაზე იყო: თვით უფალი იესუ ქრისტე, ორი წინასწარმეტყველი — მოსე და ელია, და სამი მოციქული — პეტრე, იაკობ და იოვანე. ძე ღმრთისა, როგორც ვიცით, განუყოფელი ღმრთეების — წმ. სამების ერთ-ერთი ჰიპოსტასია. მასთან ერთად ფერისცვალებას წმ. სამების ორი სხვა ჰიპოსტასიც ესწრებოდა უხილავად, რასაც მამის ხმა საცნაურ-ჰყოფს: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ“. ამრიგად, ფერისცვალების ჟამს თაბორის მთაზე მყოფთა რიცხვი, უხილავთა ჩათვლით, გამოდის რვა.

უფალმა სამი მოწაფეთაგანი გამოირჩია ფერისცვალების მოწამედ: პეტრე, იაკობ და იოვანე. ამგვარი პატივი მათ ადრეც ჰქონიათ (შესაკრებელთა მთავრის ასულის განკურნების დროს; იხ. მარკ. 5, 37, ლუკა 8, 51) და შემდეგაც (გეთსამანიის ბაღში ლოცვის ჟამს; იხ. მარკ. 14, 33). უფალმა თავისი საღმრთო დიდება უჩვენა მათ, რათა განმტკიცებულიყვნენ სარწმუნოებაში და არ შეორგულებულიყვნენ მისი ვნების ჟამს. ფერისცვალება ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის წინასწარ მომასწავებელი იყო.

მოწაფეთა რიცხვი საიდუმლოდ მოასწავებს წმ. სამებას. ამასვე მოასწავებს წმ. პეტრეს მიერ შეთავაზება სამი ტალავრისა (კარვისა): „ერთი შენდა (ე. ი. ქრისტესთვის) და ერთი მოსესა და ერთი ელიასა“; ამჯერად ქრისტე, მოსე და ელიაც წმ. სამების გამომსახველნი არიან.

„ერთი შენდა“, ვითარცა **ღმრთისა და მამისა**, რომელი — იგი ხატი და ბრწყინვალებაჲ მამისა ხარ, ვითარცა, სთქუ: რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი (იოვანე 14,9); „და ერთი მოსესა“, ვითარცა შენ **მხოლოდსა ძისათვის**, რომელმან მსგავსებაჲ მისი შეიმოსე განკაცებითა და შჯულისდებითა და სიკუდილითა; „და ერთი ელიაჲსა“, ვითარცა **სულისა წმიდისათვის**, რომელი — იგი ცეცხლისა ეტლითა და ზე-აღფრენითა და უკუდავებისა სახითა ცხორებისა საუნჯეთა შინა მსგავსად გამოისახის“, — ქადაგებს წმ. იოვანე ოქროპირი.

სამი ტალავარი — სახეა ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისა, რომელშიც წმ. სამება იქადაგება.

ფერისცვალება — უძველესი ქრისტიანული დღესასწაულია; იგი მოციქულთა დროიდან მომდინარეობს. შუა საუკუნეებამდე მას **ტალავრობის** სახელით მოიხსენიებდნენ.

დღესასწაულს სხვა სახელწოდებაც აქვს: „ღმრთეება“ — ქრისტეს მოციქულთა წინაშე ქრისტეს ღმრთეების გამოცხადება.

საქართველოში ბევრია **ღმრთეების** სახელობის ეკლესია-მონასტრები (ხალხურად „ღვთაებას“ უწოდებენ). მათი დღესასწაულია ფერისცვალება უფლისა — 6 (19) აგვისტო.

დღესასწაულის აღნიშვნით მორწმუნე ერი საღმრთო ისტორიის მონაწილე ხდება. როდესაც ფერისცვალებას ვზეიმობთ, თითოეული ჩვენგანი ვცდილობთ სულის განწმედის, უფლის სამკვიდრებლად მის მომზადებას, სათნოების შემოსვით ფერისცვალებას. ქრისტემ ცხოვრების გზა გაგვიხსნა, ფერისცვალების მაგალითი მოგვცა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი ძალით არავის აცხოვნებს. ჩვენი ცხოვრების სურვილი თავადვე უნდა გამოვხატოთ მისთვის მზად ყოფნით. ვინ ავა უფალთან ერთად თაბორის მთაზე, ვინ განახლდება და ფერს იცვლის საუკუნო ცხოვრებისათვის? დავით წინასწარმეტყველის სიტყვით — „რომელი ვიდოდის უბიწოდ და იქმოდის სიმართლესა“ ( ფს. 14, 2), „უბრალო ხელითა და წმიდაჲ გულითა, რომელმან არა აიღო ამაოებასა ზედა სული თვისი და არცა ეფუცა ზაკვით მოყუასსა თვისსა“ (ფს. 23, 4).

ფერისცვალება — სულიერი განწმედისა და განახლების დღესასწაულია; სათნოებით ადამიანი ღმრთის თანამოტალავრე (თანამოკარვე) ხდება, ზეციური ნათლით იმოსება და საუკუნო ცხოვრებისათვის განემზადება.

დღეს წმიდა ეკლესია ცხოვრების მომცემელს უგალობს: „უფალო, მოგვივლინე ნათელი შენი და ჭეშმარიტება შენი, რაჲთა წარგვიძღუეს და აღგვიყვანოს ჩუენ მთასა წმიდასა შენსა“.

ამენ.

**ევ. ქლოველი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი დრო – ახალი საქმე

**ამას** წინათ გარეჯის მეცხოველეობის კომპლექსში ძალზე ლამაზი, ჭრელი (შავი ლაქებით თეთრ ფონზე) ხბოები დაიბადა. თავისთავად, ხბოს გაჩენა ღირსშესანიშნავ მოვლენად, ცხადია, ვერ ჩაითვლება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ხბოები და ძროხები, რომლებმაც ისინი გააჩინეს, სხვადასხვა ჯიშისანი არიან. ხბოები ტრანსპლანტირებული ემბრიონებიდან განვითარდნენ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი **დალი გერმანიშვილი** ესაუბრა სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „სათავე"-ს პრეზიდენტს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, კარდიოლოგიის ინსტიტუტის საორგანიზაციო-მეთოდური განყოფილების გამგეს, ქალბატონ **მარიამ ლომოურს.** სწორედ ამ ფირმის საქმიანობის შედეგად განხორციელდა, პირველად საქართველოში, ტრანსპლანტირებული ემბრიონებიდან განვითარებული ხბოების გაჩენა.

**დ. გ. — ქალბატონო მარიამ, მართლა განსაკუთრებული მოვლენაა ამ ჭრელი ხბოების დაბადება?**

**მ. ლ.** — მართლაც განსაკუთრებულია. ემბრიონის ტრანსპლანტაცია ურთულესი ბიოლოგიური პროცესია, რომელიც საქართველოში დღემდე არ განხორციელებულა, ახლა კი ეს მეთოდი დაინერგა. ემბრიონის ტრანსპლანტაცია გულისხმობს შემდეგს — საშვილოსნოდან ამოიღება ჩანასახი, ანუ ემბრიონი და გადაინერგება სხვა ორგანიზმში. პრაქტიკული თვალსაზრისით ეს მეთოდი დიდი სამეურნეო-ეკონომიკური ღირებულების მქონეა — პირუტყვის ან შინაური ცხოველების ჯიშის გასაუმჯობესებლად უაღრესად ეფექტური საშუალებაა. ემბრიონის ტრანსპლანტაციის დროს ხდება დონორის სრული გენეტიკური აპარატის, ანუ ჯიშის მახასიათებელი ყველა ნიშან-თვისების შენარჩუნება და ამავე დროს, ახალი თვისებებით გამდიდრება. ეს ახალი თვისებები განპირობებულია რეციპიენტის (ახალი დედის) ნივთიერებათა ცვლის გავლენით და იწვევს ადაპტაციური უნარის, იმუნური მდგრადობის გაძლიერებას. ახალდაბადებული ხბო ინარჩუნებს თავისი ჯიშის ყველა სასარგებლო თვისებას და ამავე დროს შეგუებულია იმ გარემოს, სადაც დაიბადა. გარეჯის მეცხოველეობის კომპლექსში გაჩენილი ხბოები განვითარდნენ ემბრიონებიდან, რომლებიც ჩამოტანილია კანადიდან, აღებული საუკეთესო სარძევე ჯიშის ძროხებისაგან. სხვათა შორის, ამ მეთოდის სირთულეს ისიც მოწმობს, რომ კანადაში, სადაც ემბრიონების ტრანსპლანტაცია ფართოდაა დანერგილი, მისი მაქსიმალური შედეგიანობა 40-45 პროცენტია, ე. ი. ტრანსპლანტირებულ ემბრიონთა მხოლოდ 40-45 პროცენტი ვითარდება. ჩვენს შემთხვევაში შედეგი 25 პროცენტი იყო. დასაწყისისათვის ეს სულაც არ არის ცუდი. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რა პირობებში მიმდინარეობდა ჩვენი მუშაობა. ძროხის საკვები რაციონის მცირე დარღვევას, უმნიშვნელო ავიტამინოზსაც კი შეუძლია ნაყოფის მოწყვეტა გამოიწვიოს. ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოვლის სხვა ასპექტებსაც — მოძრაობის რეჟიმს, გარემოს სანიტარიულ მდგომარეობას და სხვ. ჩვენი ფერმები კი, სამწუხაროდ, იდეალური მოვლითა და კვებით ვერ დაიკვეხნის. არადა, ჯიშიანი პირუტყვისათვის ეს აუცილებელია.

**დ. გ. — რა თვისებებით ხასიათდება ახალშობილი ხბოები?**

**მ. ლ.** — ესაა მაღალპროდუქტიული სარძევე ჯიში, რომელიც წელიწადში იძლევა 8000-9000 ლიტრიდან 12000-14000 ლიტრამდე რძეს. ჩვენი ადგილობრივი ძროხები კი იძლევა 3000-4000 ლიტრს. განსხვავება ძალზე დიდია. ანალოგიური განსხვავებაა სახორცე ჯიშის პროდუქტიულობაშიც. ამიტომ, ჩვენ სახორცე ჯიშის გამოყვანაზეც ვმუშაობთ. აქვე აღვნიშნავთ — ჯიშის გაუმჯობესება, ცხადია, ჩვეულებრივი, ბუნებრივი გზითაც შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა ხანგრძლივი და ძალზე შრომატევადი სელექციური მუშაობის ჩატარება არა ნაკლებ 4-5 თაობის შეცვლა. ემბრიონების ტრანსპლანტაციის შედეგად კი იბადება სუფთა ჯიშის პირველივე თაობა.

**დ. გ.—თუ მეთოდის შედეგიანობა 25 პროცენტია, განა უფრო გონივრული არ იქნება საზღვარგარეთ შევიძინოთ ზრდასრული ჯიშიანი პირუტყვი და შემდეგ საქართველოში ბუნებრივი გზით გავამრავლოთ?**

**მ. ლ.** — ეს, ერთი შეხედვით, მართლაც უფრო ადვილი გზაა. არაერთხელ ჩამოუყვანიათ ჩვენთან საუკეთესო ჯიშის პირუტყვი, მაგრამ მოკლე დროში ის ან ავადდებოდა და კვდებოდა, ან კნინდებოდა. რა არის ამის მიზეზი? დამტკიცებულია, რომ ჯიშიანი პირუტყვი ძალზე ძნელად ეგუება ახალ გარემოს. ჩვეულებრივ, მას ადაპტაციის უნარი დაბალი აქვს, ხოლო იმუნური სისტემა — სუსტი. ახალი გარემო, მისთვის უჩვეულო მიკროფლორით ადვილად ხდება დაავადების მიზეზი, ამას ემატება უჩვეულო კლიმატი, კვება და სხვა ეგზოგენური ფაქტორები. საბოლოოდ, ვიღებთ არა ეკონომიკურ ეფექტს, არამედ საგრძნობ ზარალს, რადგან ჯიშიანი პირუტყვი საკმაოდ ძვირია, მით უმეტეს, საზღვარგარეთ. რაც შეეხება ემბრიონების ტრანსპლანტაციას, ის ეკონომიკურად გამართლებულად მიგვაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ მეთოდი, მთლიანობაში, საკმაოდ ძვირადღირებულია. ემბრიონის ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებული ხარჯები გულისხმობს ემბრიონის ღირებულებას, რთული ლაბორატორიული მოწყობილობის და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აუცილებლობას, რაც აგრეთვე საკმაოდ სოლიდურ თანხას მოითხოვს. ამას ემატება ახალი თაობის გასაზრდელად საჭირო ხარჯები. მაგრამ, სამაგიეროდ, ამ მეთოდით ვიღებთ სუფთა ჯიშის თაობას, რომელიც ზედმიწევნით არის შეგუებული ადგილობრივ პირობებს. ამ გზის ეკონომიკური ეფექტი უდავოა, ოღონდ ის გამოვლინდება არა ერთბაშად, არამედ, დროთა განმავლობაში. დღეს კი ეს მეთოდი ცხადია, საკმაო კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს... ჩვენი საქმიანობის პერსპექტიულობა გაიზიარეს გარეჯის მეცხოველეობის კომპლექსის ხელმძღვანელებმა. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ეს იდეა — ემბრიონების ტრანსპლანტაცია — ჩვენთან, ცოტა არ იყოს, ფანტასტიკურად ჟღერდა, გარეჯის მეცხოველეობის კომპლექსის დირექტორის, ბატონ თემურ ორჯონიკიძის და საგარეჯოს რაიონის წინანდელი ხელმძღვანელის, ბატონი გივი საბაშვილის ხელშეწყობით ეს სამუშაო განხორციელდა. ახლა, გარეჯის მეცხოველეობის კომპლექსის თანამშრომლები, უფროსით დაწყებული და მომვლელით დამთავრებული: თემურ სიბაშვილი, ზაზა ზარიძე, დიმიტრი მელიქიძე, რობინზონ ჩუნთიშვილი, გოგა თოფალაშვილი, ბაბალე ლიქოკელი ძალღონეს არ იშურებენ, თავს ევლებიან ახალშობილ ხბოებს. მაგრამ, სამწუხაროდ ფერმაში ჩვეულებრივი ამბავია ნაწლავური ინფექციები, განსაკუთრებით ხშირად ხბოები ავადდებიან და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ხბოებს დაბადებიდანვე ახასიათებთ განსაკუთრებული ენერგია და აქტიურობა, ერთი მაინც ინფექციის მსხვერპლი გახდა. მედიკამენტები კი ვეტერინარიაში კიდევ უფრო მეტად ჭირს, ვიდრე ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში. ამიტომ ჩვენ გადაუდებელ ამოცანად გვესახება სპეციალური სანაშენე მეურნეობის ჩამოყალიბება, სადაც ჯიშიან პირუტყვს საჭირო პირობებს შევუქმნით. ამ საქმეში საგარეჯოს პრეფექტის, ბატონი გურამ ისაკაძის დახმარების იმედი გვაქვს. დიდად გვანუგეშებს და გვიმაგრებს მხარს უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის და ეკოლოგიის კომისიის თავმჯდომარის, ბატონი ირაკლი ჩხეიძის და მისი მოადგილის, ბატონი დავით ტაბიძის თანადგომა.

**დ. გ. — როგორ მოხდა თქვენი დაკავშირება მესაქონლეობასთან და როგორ ათავსებთ ორ საქმიანობას?**

**მ. ლ.** — ჯერ ერთი, ეს არ არის მხოლოდ მესაქონლეობა, თუმცა თვალსაჩინო შედეგი ჯერჯერობით მხოლოდ ამ სფეროში გვაქვს. გარდა ემბრიონების ტრანსპლანტაციისა, ჩვენ რამდენიმე სხვა, ასევე პერსპექტიული საქმე გვაქვს დაგეგმილი. რაც შეეხება ორი საქმიანობის შეთავსებას, მართლაც, ერთი შეხედვით ეს თითქოს მოულოდნელია, მაგრამ ჩვენ, ვინც „სათავე" დავაარსეთ — სამი ექიმი, მშენებელი, არქიტექტორი და ეკონომისტი, ცალ-ცალკე ბევრს ვფიქრობდით, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საქართველოში სამეურნეო-მეწარმეობლური საქმიანობის განვითარების ზნეობრივად მისაღები, სტრატეგიულად გამართლებული და ეკონომიკურად პერსპექტიული გზა, რადგან ჩვენი მოსაზრებები ძირითად საკითხებში ემთხვეოდა, გადავწყვიტეთ ერთად გვეცადა ჩვენი იდეების განხორციელება. თანაც, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თავისუფალი ხარ შენს საქმიანობაში და არავინ გზღუდავს გამოგონილი ინსტრუქციებით ან წესებით. ცხადია, ვგულისხმობ თვით საქმიანობის წარმართვას და არა კანონის ფარგლებს, რისი დაცვაც ჩვენი ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპია. მართალია, ეკონომიკური ეფექტის მიღწევის ჯერ მხოლოდ პერსპექტივა ჩანს, მაგრამ მიგვაჩნია, გზა სწორი გვაქვს არჩეული, მითუმეტეს, რომ გვაქვს სადისერტაციო თემების შესრულების გამოცდილება და ვიცით, რა გულდასაწყვეტია, როცა ნაშრომი, რომლის მეცნიერულ ღირებულებას და პრაქტიკულ მნიშვნელობას დისერტანტი საგულდაგულოდ ასაბუთებს, სინამდვილეში თეორიულ-ექსპერიმენტული თამაშია და სხვა არაფერი. ახლა კი დადგა დრო, როდესაც ყველა საქმე ნამდვილი უნდა იყოს. გარდა ამისა, საქართველოში თავს იჩენს ისეთი სერიოზული სოციალური მოვლენა, როგორიცაა უმუშევრობა და მასთან ადაპტაციის აუცილებლობა. ყველასათვის ცხადია, რომ უახლოეს ხანს შრომისუნარიანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი არჩევანის წინაშე დადგება — იპოვოს საქმიანობის ახალი სფერო ან უმუშევარი გახდეს. და სწორედ აქ ვლინდება მახინჯი სოციალური ფორმაციის დამთრგუნველი გავლენა პიროვნებაზე. ადამიანებს არ ჰყოფნით გამბედაობა და ინიციატივა, რათა ახალ საქმიანობას მოჰკიდონ ხელი, რადგან დღემდე ეკონომიკური წარმატების მოსაპოვებლად მიმართული აქტიური მოქმედება ასოცირდებოდა უპატიოსნობასთან და უღირსობასთან. რა თქმა უნდა, გამდიდრების უზნეო მეთოდები დღესაც გამოიყენება, მაგრამ გვჯერა, შესაძლებელია ადამიანმა არ შეურაცხყოს საკუთარი ღირსება და ამავე დროს საინტერესო, საჭირო, ყველა თვალსაზრისით პერსპექტიული საქმე აკეთოს. ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, გვიხარია, რომ სასარგებლო საქმეს ვაკეთებთ, ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს და ვიმედოვნებთ... დარწმუნებული ვართ, რომ მეტსაც მივაღწევთ. სხვათაშორის, საქმიანობის ორივე სფეროს ვგულისხმობ.

**დ. გ. — მიგაჩნიათ თუ არა ემბრიონების ტრანსპლანტაციის მეთოდის დანერგვა ჩვენი რესპუბლიკისთვის პერსპექტიულად?**

**მ. ლ.** — უდავოდ. მიგვაჩნია, რომ ეს მეთოდი ჩვენი ქვეყნისთვის პერსპექტიული და ეკონომიკურად ეფექტური გზაა მეცხოველეობაში წარმატებების მისაღწევად. საერთოდ, საქართველოსთვის მისაღებად მიგვაჩნია მხოლოდ მაღალპროდუქტიული, ეფექტური სოფლის მეურნეობის განვითარება, გარემოს ეკოლოგიური დაცვის გათვალისწინებით. სოფლის მეურნეობაში თანამედროვე მეცნიერული მეთოდების დანერგვა კი ჩვენი სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „სათავე"-ს ძირითადი საქმიანობაა. ამ საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად ჩვენ კონტაქტებს ვამყარებთ და ვთანამშრომლობთ დასავლეთის ქვეყნებთანაც და ჩვენს მეზობლებთანაც. მაგალითად, ემბრიონების ტრანსპლანტაციის მეთოდის დასანერგად და ჯიშიანი ემბრიონების შესაძენად ჩვენ დავუკავშირდით სომეხ კოლეგებს, რომლებმაც დიდი კონსულტაციური დახმარება გაგვიწიეს. ემბრიონების ტრანსპლანტაცია მხოლოდ ერთი კონკრეტული საქმიანობაა. ამის გარდა, ჩვენ დაგეგმილი გვაქვს როგორც მცენარეული, ასევე ცხოველური საკვების მოპოვების ზოგიერთი მეცნიერებატევადი არატრადიციული მეთოდის დანერგვა, რაც ასევე უაღრესად პერსპექტიულად მიგვაჩნია ჩვენი ქვეყნისთვის. მაგრამ არის სირთულე, რომელიც ასეთი პროგრამების განხორციელებას აფერხებს. ეს საქმიანობა სერიოზულ სამეცნიერო-კვლევით ბაზას მოითხოვს, თანაც ეკონომიკურ ეფექტს გარკვეული დროის შემდეგ იძლევა და მიუხედავად თავისი მნიშვნელობისა, სახელმწიფოფინანსური ორგანოებისა და სტრუქტურების მხრიდან საჭირო დახმარებას ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არ იღებს. ეს კი ძალზე აფერხებს ამგვარი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდას. თუნდაც კონკრეტულად ემბრიონების ტრანსპლანტაციის პრობლემა რომ გადაიჭრას, ცხადია, პირველ რიგში უნდა შეიქმნას ჯიშიანი ემბრიონების საკუთარი ბანკი — ანუ მძლავრი სანაშენე მეურნეობა, ეს კი სოლიდურ თანხას მოითხოვს. მაგრამ თუ ჩვენი გეგმები განხორციელდა, 3-4 წელიწადში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშის შეცვლაზე დახარჯული ფული ანაზღაურდება მიღწეული ეკონომიკური ეფექტის წყალობით.

მიგვაჩნია, რომ კვების პროდუქტების წარმოების დარგში ამგვარ საქმიანობას სახელმწიფო მეტ დახმარებასა და მხარდაჭერას უნდა უწევდეს. სასურველია შემუშავდეს მეტი ხელშეწყობის პრინციპები, რაც საფუძვლად დაედება მართლაც პერსპექტიული, სტრატეგიულად გამართლებული და მიზანშეწონილი პროგრამების ფინანსირებას. ხელშეწყობის ასეთი პოლიტიკა დააჩქარებს და გააადვილებს ჩვენი ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსვლას. მით უმეტეს, რომ საქართველოში კვების პროდუქტების საკუთარი ბაზის შექმნა, რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია (თანაც, საკმაოდ მოკლე დროის განმავლობაში). ხოლო ეს რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის აუცილებელზე აუცილებელია, ყველასათვის ცხადია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მართლაც, საით მივყავართ გზებს?

1991 წლის 10 და 12 ივლისის საგარეჯოს რაიონული გაზეთის „[...]ის განთიადის" ფურცლებიდან პირველად გაესაუბრა თავის ამომრჩევლებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი ალექსი არაბული. „საით მივყავართ გზებს?" სათაურშივე კითხულობს ბატონი ალექსის და შეძლებისდაგვარად ცდილობს მკითხველი სწორად დააკვალიანოს; რადგან ამ „რთულ, დაძაბულ, ქაოსურ სიტუაციაში ბევრს უჭირს გარკვევა, სწორად ორიენტირება, ჭეშმარიტებისა და ცბიერად, შეფარვით შემოთავაზებული ნაყალბევის გარჩევა", დღევანდელობა ხვალ ისტორიად იქცევა, და ისტორია კი ობიექტური, პირუთვნელი უნდა იყოს, ამიტომ, ბატონი დეპუტატი, თუმცაღა მოკრძალებითა და მობოდიშებით, მაგრამ მაინც კისრულობს პირუთვნელი ჟამთააღმწერლის მისიას, რადგან ბევრი რამ, რაც დღეს ჩვენს რაიონში ხდება,— ამბობს იგი — მეც მეხება და ბევრი რამის მონაწილე მეც გახლავართ. ბატონი ალექსი წერილს საგარეჯოს რაიონის გასაჭირით იწყებს და გასაჭირითვე ამთავრებს. „ღვარძლი, შური, ჭორი, ცილისწამება, დასმენა, ქურდობა, მოშლილი ეკონომიკა, უიმედო პერსპექტივა, ერთმანეთს წაკიდებული მეზობლები, ნათესავები და თვით ოჯახის წევრებიც კი" დიაღ! არც მეტი, არც ნაკლები! ამის მიზეზად ბატონი ალექსი 70-წლიან მონობას თვლის „გუშინ, დღეს კი, პასუხისმგებლობა როგორც დღევანდელობისათვის, ასევე მომავლის წინაშე ეკისრება რაიონის პრეფექტს, პრეფექტურას და პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მაგიდის" საგარეჯოს რაიონული განყოფილების გამგეობას", შემდგომში კი ახლად არჩეულ საკრებულოს.

ბატონი ალექსი ძირითადად 3 ბრალდებას უყენებს საგარეჯოს რაიონის პრეფექტს ბატონ გურამ ისაკაძეს — „ერთადერთი ყველაზე საშიში სინდრომი, რომელიც ბატონ გურამის მოსვლის შემდეგ გაღვივდა და დამკვიდრდა რაიონში, არის ის, რომ მთელი ხალხი გადამტერებულია ერთმანეთზე" — წერს ბატონი ალექსი.

„მეორე არასასურველი ნიშანი — განაგრძობს იგი — განპირობებულია პირველი სენისაგან. საუბარია კადრების გაუგებარ (რბილად რომ ვთქვათ) დაწინაურება-დაქვეითებაზე" — და ბოლოს „კიდევ უფრო არასასურველი მომენტია ის, რომ ბოლო პერიოდში რაიონში შეიქმნა ბუხრისპირული განწყობილება" — ე. ი. ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ პრეფექტი და პრეფექტურა საქმეს არ აკეთებენ და მხოლოდ და მხოლოდ დროსტარებაზე არიან გადასული.

ჩვენ გარკვეული წარმოდგენა გვაქვს ბატონ გურამ ისაკაძეზე, როგორც პიროვნებაზე და სპეციალისტზე (იხ. „თავისუფალი საქართველო" № 8, 15. III), ამიტომ გადავწყვიტეთ მასთან შეხვედრა და ვთხოვეთ განმარტება ხსენებული პუბლიკაციის თაობაზე:

„ბატონი ალექსი არაბულის წერილში ისეა წარმოჩენილი სიტუაცია, რომ თითქოს ჩემი ჩასვლის შემდეგ აირია საგარეჯოს რაიონში ყველაფერი, მანამდე კი ეს იყო წყნარი, მშვიდი რეგიონი, დეპუტატის მიზანია მე გადამაბრალოს ყოველივე — ეს ძირშივე მცდარია. წერილი ბოღმითაა დაწერილი, ამის მიზეზი კი ერთი შეიძლება იყოს... ამ წერილმა გამოიწვია პასუხები, რომლებიც იმავე გაზეთში იბეჭდება, ხალხი შეწუხდა ერთმანეთის შეურაცხყოფით, ლანძღვით, და ეს ყოველივე წამოიწყო საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრმა, სახალხო ფრონტის ერთ-ერთმა ლიდერმა, დეპუტატობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორმა ბატონმა ალექსი არაბულმა. რა დამხვდა მე რაიონში? — თითქმის უმართავი სიტუაცია: კოლმეურნეებში ატეხილი აყალ-მაყალი, „მხედრიონის" თარეში, გახმაურებული კონფლიქტი სანეპიდსადგურში, ტექნიკუმში. მე ვეკითხები ბატონ ალექსის — თავისი დეპუტატობის დროს, პრეფექტად ჩემს დანიშვნამდე, ოქტომბრიდან მარტამდე, რა გააკეთა სასიკეთო, რომელი საქმე მოაწესრიგა? ჩვენ მას შევთავაზეთ თანამშრომლობა, ჩვენს გვერდით დგომა, მაგრამ უარი გვითხრა, მას არ შეუძლია იყოს მეორე, ვერ თმობს ყოვლისმცოდნეობის პოზას, რწმენას იმისას, რომ ის არის მხოლოდ ხელმძღვანელობის ღირსი, ამიტომ ყველას ურჩევს საქმეს, ყველას ედავება, ყველას უხსენებს წარსულს.

ჩვენ გვაქვს ნაკლოვანებები, გვიჭირს უდაბნოს მეურნეობის ცხვარში, მევენახეობის ზოგიერთ მეურნეობაში, ზამთრის პერიოდში ყინვის გამო ცხვარი დაიხოცა. მაშინ რაიონის პატრონი ალმასკომის გულგატეხილი თავმჯდომარის გარდა მხოლოდ დეპუტატი ალექსი არაბული იყო თავისი კოჭაიებით, ამიტომ მან უნდა იტვირთოს პასუხისმგებლობა. და ნუ შეეცდება ჩვენზე გადმოიტანოს ამ ბრალდების მთელი სიმძიმე. რაიონში მძიმე სიტუაციაა, არა გვაქვს მასალები, სახსრები, არის საბოტაჟი, ყველა მოხსნილი პიროვნება იბრძვის ძველი ადგილის შენარჩუნებისათვის, რაიონი ფაქტობრივად გაძარცვულია, ახლა დიდი ძალისხმევაა საჭირო ერთად დგომისა და ერთად შრომისათვის, ზოგს კი მარტო ის ადარდებს, თუ რა ადგილს დაიჭერს ამ ახალ სისტემაში, ახალ სტრუქტურებში.

ჩვენ არა გვაქვს ხელმძღვანელობის გამოცდილება, შეიძლება რაღაც ვეშლება, მაგრამ დღეს პრეფექტი საომარ მდგომარეობაშია და მეც ვიბრძვი, ამიტომ გულსატკენია, ასეთი არაობიექტური შეფასება ჩემი საქმიანობისა.

რაიონში ბატონ ალექსის ძალიან ბევრი საქმე აქვს. იგი დეპუტატია, დირექტორია, მიხედოს თავის საქმეს, თავი ანებოს ცილისწამებას და საკუთარი თავის სიმართლისათვის ერთადერთ მებრძოლად წარმოსახვას. ჩვენ ყველანი სიმართლისათვის ვიბრძვით და არავითარ შემთხვევაში არ მივცემ უფლებას ბატონ ალექსის კომუნისტების მეხოტბეობა დაგვწამოს. მე არასოდეს მომიღვაწია ბატონი ალექსისაგან განსხვავებით კომკავშირში, არც პარტბილეთის პატრონი ვყოფილვარ როდესმე, დრო კი იყო, როდესაც... ბატონი ალექსი სხვებთან შედარებით ადრე გაერკვა პოლიტიკურ ვითარებაში. ჭორაობა, ცილისწამება, დასმენა და ა. შ. ჩემს მოსვლამდე ყვაოდა საგარეჯოს რაიონში, ისე როგორც მთელს საქართველოში, უფრო მეტიც — მთელს საბჭოეთში. ეს ჩვენი გამაუბედურებელი სისტემის სინდრომია, კიბოს მეტასტაზივით მოდებული დედამიწის ერთ მეექვსედზე ეს არ არის ლოკალური მოვლენა, როგორც ბატონ ალექსის წარმოუდგენია, მას მასშტაბური ხასიათი აქვს. სანამ ქვეყნად ერთი მგზნებარე კომუნისტი მაინც იბოგინებს, მანამ იყვავილებს მისი თანმდევი ცილისწამება, შური, ჭორი და მტრობა ადამიანებს შორის. რაც შეეხება კადრების საკითხს, ბატონი ალექსის გაღიზიანება გამოიწვია იმან, რომ ჩვენ დავაწინაურეთ ის, ვისი დაწინაურებაც არ სურდა ბატონ დეპუტატს და პირიქით. ბევრი ელოდა სასურველი თანამდებობის ხელში ჩაგდებას, მაგრამ, რა ვქნა, ვერ გავუმართლე იმედი. მე ჩემი აზრი მაქვს, ჩემი ხედვა მაქვს და ვისაც ჩავთვლი საჭიროდ, იმას დავაწინაურებ. გამიმართლებს თუ არა, მომავლის საქმეა. ჯერჯერობით კი მიმართლებს.

კადრების შერჩევის დროს ჩვენ დიდ ანგარიშს ვუწევთ ხალხის აზრს. წამოვაყენებთ რამდენიმე კანდიდატს და რომელსაც მეტი მომხრე ეყოლება მოსახლეობიდან, ვნიშნავთ იმას. მაგალითად, ტექნიკუმის დირექტორად სამი კანდიდატი წარვადგინეთ, ბ-ნი ვოვა მათიაშვილი დაგვიმტკიცეს, მე იგი ღირსეულ პიროვნებად მიმაჩნია. ტექნიკუმის კოლექტივი ორად იყო გახლეჩილი, შექმნა აბსოლუტურად უმართავი სიტუაცია. ვოვა მათიაშვილის დირექტორად დანიშვნა კი გარკვეულ წარმატებად მიგვაჩნია. ჩვენ ვცდილობთ კადრების შერჩევისას, როგორც გითხარით, გავითვალისწინოთ სოფლის, კოლექტივის სურვილი და კანდიდატები ამგვარად შევარჩიოთ და არა ისე, როგორც ამას წერილის ავტორი გვიკიჟინებს.

ობიექტურ შენიშვნას სიამოვნებით მივიღებ, მაგრამ უსაფუძვლო ბრალდებას და ცილისწამებას, გამომდინარეს მერკანტილური მოსაზრებებიდან, შევებრძოლები. ბატონი ალექსის მცდელობა, რათა ჩვენს მუშაობაში მხოლოდ შეცდომები დაინახოს, სხვა მიზეზით არის გამოწვეული...

დაბოლოს, ბუხრისპირული განწყობილების შესახებ.

დღეს ძალიან გვიჭირს, მაგრამ წუწუნისთვის არ გვცალია, ყველას უჭირს, ყველა დაიღალა, მაგრამ მიზანი იმდენად დიდი და მნიშვნელოვანია, მისია კი, რომელიც ჩვენს თაობას დაეკისრა, იმდენად საპატიოა, რომ მის სიმძიმეს არ ვიმჩნევთ. ბუხრის პირას ფეხის მორთხმას, ბუხარში აგიზგიზებული ცეცხლის წინ წაქეიფებას რა სჯობს, მაგრამ მაგ ფუფუნებას ჩვენს მომავალს ვუმზადებთ. დღეს კი ბუხრისთვის ვერ ვიცლით. რა შეიძლება ამ „ბრალდებას" დავუპირისპირო? უსაქმურობაშიც დაგვდეს ბრალი. ეს ხომ უზნეობაა. მთელმა რაიონმა იცის, რომ უსაქმურნი არა ვართ, სირცხვილიც კი ამაზე ლაპარაკი.

ბატონი გურამი გაჩერდა. სხვათაგან კიდევ სხვაც შევიტყვეთ — საგარეჯოს რაიონში მოუხნავი მიწა არ დარჩენილა, მოსავალი დღემდე კარგი მიიღეს.

— სანეპიდსადგურში იყო მძიმე მდგომარეობა. თანამშრომლები ერთმანეთს ებრძოდნენ. საქმე კი არ კეთდებოდა. ბატონმა გურამმა შექმნა კომისია, რომელიც არკვევს საკითხს. ხალხს სწამს, რომ სანეპიდსადგური მალე ამუშავდება.

ბევრი სხვაც ითქვა, მაგრამ საგაზეთო წერილის მოცულობა არ გვაძლევს საშუალებას ყველაფერი დავბეჭდოთ.

ბატონი ალექსი არაბული პირველად გაესაუბრა ამომრჩევლებს, როგორც დეპუტატი. [...] კი უფრო საქმიანი, უფრო აკადემიური, უფრო ღვთისნიერი გაბაასების სურვილს გვიტოვებს. დეპუტატი, ხალხის რჩეული, ხალხს ანგარიშს უნდა აბარებდეს, როგორ მოემსახურა, რა გააკეთა, რას გააკეთებს მომავალში მისი კეთილდღეობისათვის, უნდა უჩვენებდეს, საით მივყავართ გზებს, რომლებსაც დავადექით.

პუბლიკაცია მოამზადა
**ნანა დოლიძემ**

# გოდმა რა საკადრისია

ის მკითხველებმა, რომლებმაც „თავისუფალ საქართველოში" (26. VII. 1991 წ.) წაიკითხეს ჩემი წერილი „ვის ეთქმის სიტყვა", იციან, თუ როგორ მოიქცა ირაკლი გოცირიძე, როცა წაიკითხა ჩემი რეცენზია მის წიგნზე.

მე წიგნი დასაბუთებულად გავუცამტვერე.

იმან კი მუშტების აცა-ბაცა ქნევა დაიწყო.

ეტყობა იმ წუთას უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა ყუამდე გაკრიტიკებული წიგნის ავტორმა.

ეს გასაგებია, მაგრამ შინ რომ დაბრუნდა, ხომ უნდა დამშვიდებულიყო და ეფიქრა, მადლობა ღმერთს, რომ ჩემი უზნეო საქციელის საპასუხოდ არა მცემეს და გადავრჩი, მოდი, ახლა წიგნსაც ვუშველი, დავასაბუთებ, რომ მცდარად მაკრიტიკებს პეტრიაშვილიო.

თქვენც არ მომიკვდეთ!

ჩემს არგუმენტს თავისი არგუმენტებით არ შეეკამათა ირაკლი გოცირიძე.

შინდაბრუნებულს უფრო მორევია ბოღმა და ამ სამარცხვინო გრძნობას ისე დაუპყრია ოპონენტის რუსულ-საბჭოური გული, რომ კვირიდან კვირამდე გაჰყოლია სურვილი ჩემი ლანძღვისა.

გაზეთ „გრუზია სპექტრის" ორ ნომერში (№ 17,29 ივლისი—4 აგვისტო; № 18, 5 აგვისტო — 11 აგვისტო) მლანძღა ამხანაგმა ირაკლი გოცირიძემ.

მერედა რა სიტყვებით!

მე ხომ დაწყევლილი ბედი მაქვს. სულ ისეთ ოპონენტებს უნდა გადავეყარო ხოლმე ლანძღვის ვეება პულვერიზატორებს რომ ჰგვანან!

ირაკლი გოცირიძემ ისეთი ლანძღვა შემომაფრქვია, იმ პულვერიზატორებს შორისაც კი უცებ გაჩემპიონდა.

(მკითხველს აქვე ვთხოვ ჩემს მიერ ოპონენტის საპასუხო ლანძღვად არ მიიღოს, რომ ვთქვი, რუსულ-საბჭოური გული აქვს მეთქი. „თავისუფალ საქართველოში" ორი გვერდი სწორედ მაგის დამტკიცებას მოვახმარე, რომ რუსი საბჭოთა ჟურნალისტია ირაკლი გოცირიძე. წაიკითხეთ და ვინც არ დაეთანხმება, საბუთებით შემეკამათოს).

ლანძღვას ცილისწამებაც მოაყოლა ამხანაგმა ირაკლიმ. ეტყობა, სურდა რაც შეიძლება მეტად გავემწარებინე.

მისდა სამწუხაროდ, მხოლოდ გამეცინა მის მიერ შეთხზულ სიცრუეზე.

ვინ დაუჯერებს ჩემს საბრალო ოპონენტს, ვითომ ოდესღაც აქტიური კომკავშირელი ვიყავი და ეგ მარიგებდა ჭკუას, ნუ ხარ ეგეთიო.

ან იმას ვინ დაიჯერებს, რომ წიგნი იმიტომ არ დავუბეჭდე, რატომ შიგ მეც არა გყავარ ნახსენებიმეთქი.

(მაგ წიგნთან ერთად ერთი მოჭადრაკის რუსული წიგნიც ამოვაგდე გეგმიდან, მაგრამ იმ მოჭადრაკეს იუმორის გრძნობა აქვს და არ დამაბრალა, ეს იმიტომ მიყავი, გროსმაისტერად რომ არ გამოგაცხადეო).

ლანძღვას და ცილისწამებას არ დასჯერდა ირაკლი გოცირიძე.

ჩემს მიერ მისი წიგნის ბეჭდვის შეწყვეტა ლამის სახელმწიფო დანაშაულად გამოაცხადა.

თურმე მე ვყოფილვარ „საქართველოს რესპუბლიკის მიერ განცხადებული დემოკრატიზაციის ხელმყოფი და სახელის გამტეხი".

და თურმე საშინელი მასშტაბები მიუღია ჩემს ავ ქმედებებს:

„ამ კაცმა შეცდომაში შეიყვანა საზოგადოებრიობა, **მთელი მსოფლიო**, თითქოს ხელისუფლება იძლევა სანქციას, აიკრძალოს „არასასურველი" წიგნიო".

ხაზი მე გავუსვი „მთელ მსოფლიოს".

გესმით, მეგობრებო, რა ხდება?

ხედავთ, რა ქარიშხლები დაატრიალა საბჭოთა ჟურნალისტმა ირაკლი გოცირიძემ თავის რუსულ „სტაკანში?" -

თურმე მთელი მსოფლიო შემოგვცქეროდა მე და ირაკლი გოცირიძეს. აინტერესებდათ, რას ვუზამდით მის წიგნს. და ახლა ყველა კონტინენტს ერთდროულად აღმოხდა გმინვა: ვაჰმე, აკრძალა „არასასურველი" წიგნი საქართველოს ხელისუფლებამაო.

ხელისუფლება რაღა შუაშია? ჰკითხეთ ამხანაგ გოცირიძეს.

ეს ხომ საბჭოური ჟურნალისტიკის ურყევი ტრადიციაა, ყველაფერს პოლიტიკური სარჩული გამოაკრას.

თურმე „თავისუფალ საქართველოში" იმიტომ მივიტანე, ჩემი წერილი-რეცენზია, რომ მსურდა „პარტიული მიმართულების რედკოლეგიის სახელი პირად ფარად" გამომეყენებინა.

კი, მაგრამ ამხანაგ ირაკლის რატომღა ვიწვევდი ამავე გაზეთში? რატომ ვაძლევდი შანსს, რომ მასაც ჰქონოდა „პირადი ფარი"?

იმ წერილის ბოლოს ხომ ასე დავუწერე:

„აგერაა ბურთიც და მოედანიც. მე ამ გაზეთის რედკოლეგიის წევრი ვარ და ვიცი, რედაქტორი უარს არ იტყვის, თუკი ბ-ნი ი. გოცირიძე ჩემი რეცენზიის პასუხს მოიტანს"-მეთქი.

აი, კიდევ ერთი საბჭოური ხერხი.

მომყავს ციტატა ირაკლი გოცირიძის წერილიდან:

„...ჩემი წიგნის „აკრძალვის" მეორე თუ მესამე დღეს პეტრიაშვილმა გაზეთ „ქომაგში" საქვეყნოდ განაცხადა:

„ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მითხრა, დირექტორად წადით, რადგან იცის, რომ აქაც ვარ საჭირო".

ამ სიტყვებით ყველანი დაგვაშინა: რაც ჩავიდინე და რასაც მომავალში ჩავიდენ ყველაფერზე პრეზიდენტის სანქცია მაქვს მოცემული"-ო.

(„გრუზია-სპექტრ" № 17, 1991 წელი).

მე კი ვუთითებ თუ სად ეძებოს მკითხველმა ირაკლი გოცირიძის ნათქვამი, მაგრამ ოპონენტი არ უთითებს არც „ქომაგის" ნომერს და არც „თავისუფალი საქართველოსას".

ესეც საბჭოური ჟურნალისტიკის ხერხია, რომ მკითხველს არ მისცეს საშუალება, შეამოწმოს, სწორედაა თუ არა ციტატები მოყვანილი.

გაზეთ „ქომაგის" აღნიშნული ნომერი გამოვიდა ამა წლის 1 აგვისტოს.

გთხოვთ, მეგობრებო, გადაშალოთ ეს ნომერი მესამე გვერდზე და დარწმუნდეთ, რომელია ჩვენს შორის „ცუღლუტი": მე თუ ირაკლი გოცირიძე.

ბატონი ვილენ მარდალეიშვილი მეკითხება:

„რა გეშარებოდათ ამ უქაღალდობის, ნიკოლოზის დროინდელი პოლიგრაფიისა და ათასი დავიდარაბის პირობებში, რამ გაგაბედინათ გამომცემლობის დირექტორობა?..."

მე ვპასუხობ:

„ბატონმა ზვიად გამსახურდიამ გამაბედვინა, მითხრა — დირექტორად წადიო, და რომც არ მდომოდა, მაინც წამოვიდოდი... რადგან მითხრა, ალბათ იცის, რომ აქაც ვარ საჭირო".

სადაა აქ მუქარა ავტორთა მიმართ?

სხვას კი არ ვაშინებ, არამედ იმას ვამბობ, თუ თვითონ რამ გამაბედვინა გამომცემლობის დირექტორობა ამ რთულ ეკონომიკურ ვითარებაში.

გამომცემლობის დირექტორს მრავალი რამ მოეთხოვება.

თავს ვერ დავდებ, ყველა საჭირო ღირსებით შემკული ვარ-მეთქი, მაგრამ კარგ წიგნს ცუდისაგან ნამდვილად ვარჩევ.

ირაკლი გოცირიძის წიგნი ცუდია.

ეს დავასაბუთე გაზეთ „თავისუფალ საქართველოში".

„მე არ დავიწყებ ამ მბრძანებელ-დირექტორის პასკვილის გარჩევას"-ო, ამბობს ირაკლი გოცირიძე და ძალიან ცდება;

ერთადერთი გზა გამომცემლობა „საქართველოში" მისი წიგნის დაბეჭდვისა არის ის, რომ ირაკლი გოცირიძემ გააბათილოს ჩემს რეცენზიაში გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებანი.

ჩემი დაბოღმილი ოპონენტი ამბობს, რომ თურმე მთელი ფენები ყოფილა საზოგადოებაში, რომლებსაც მტკივნეულად განუცდიათ მომხდარი ამბავი, ანუ ირაკლი გოცირიძის წიგნის ბეჭდვის შეწყვეტა.

სიამოვნებით მოვუსმენდი იმ „ფენების" ნებისმიერ წარმომადგენელს თუკი ის კონტრარგუმენტებით შეეცდებოდა ჩემი არგუმენტების გაბათილებას.

ვიმეორებ:

ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი.

და კვლავაც:

ღრენაი და კბენაი არ იყოს.

**მინაწერი:**

მლანძღა და მლანძღა ირაკლი გოცირიძემ, ჩემი სახელი კი არც ერთხელ არ ახსენა.

ის წერს: „ყვარყვარე-პეტრიაშვილები," „გ. პეტრიაშვილი", „პეტრიაშვილისნაირი", „პეტრიაშვილს" და არსად არ წერია „გურამ პეტრიაშვილი".

ეს განგებაა გაკეთებული და რომ ეს ასეა, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მაგალითად პირველ „მიმართვაში" სრული სახელითაა მოხსენიებული რუსი საბჭოთა მწერალი ალექსანდრე გელმანი.

ასევე „მიმართვას" ბოლოს აწერს არა „ი. გოცირიძე" არამედ, „ირაკლი გოცირიძე".

უნდა გითხრათ, რომ „მოწინააღმდეგის" იგნორირებისა და [...]ცირების ასეთ ხერხს სამწუხაროდ ხშირად მიმართავენ იმ პოლემიკებში, რომლებიც იმართება ჩვენი პრესის ფურცლებზე.

ეს სამწუხაროა სწორედ იმას გაიო, რომ მეტყველებს ერთ რამეზე, პოლემიკაში ჩაბმულთა გულებს ბოღმა და მძულვარება დაუფლებია.

იმდენად შესჯავრებია ერთ ქართველს მეორე, რომ იმისი სახელის ხსენებაც კი არ უნდა.

გურამი, „გურამ", „გვარამ" ისევე, როგორც „ირაკლი", „ერეკლე", მშვენიერი ქართული სახელებია (თუმცა უცხოეთიდან მოსული, მაგრამ ქართული ენის მიერ ქართულად ჩამოყალიბებული).

ჩვენ ერთმანეთი რომც არ მოგვწონდეს, სახელს რას ვერჩით?

სხვათაშორის ტაქტიკურადაც არაა სწორი ოპონენტის მხოლოდ ინიციალით მოხსენიება. თუ იმისი დამარცხება გინდა, განა არა სჯობს აჩვენო, რომ ოპონენტი ღირსი არაა ისტორიული შარავანდედით მოსილი ეს სახელი ატაროს?

მე ვიქნებოდი ბითური პოლემისტი, რომ არ მეხსენებინა ჩემი ოპონენტის სახელი — „ირაკლი".

პირიქით, ბევრჯერ იმიტომ ვიმეორებ ამ სახელს გოცირიძის „საგმირო საქმეების" გაანალიზებისას, რომ მკითხველმა ბოლოს და ბოლოს იფიქროს, აბა, სად ნამდვილი ერეკლე და სად ეს ირაკლი გოცირიძეო.

**გურამ პეტრიაშვილი**

# „რა ხდება გარდაბანში?"

„განუკითხაობა", — მოკლედ შეიძლებოდა პასუხი გაგვეცა ამ სათაურით გამოქვეყნებულ წერილზე, რაც „თავისუფალ საქართველოში" ამომწურავად იძლევა ვითარების ანალიზს (2 აგვისტოს ნომერში დასტამბული ამ ნარკვევის ავტორია ირ. ლომოური).

გარდაბანი ერთ-ერთი ისეთი რაიონია, სადაც ისტორიული ძნელბედობის წყალობით გაუდაბურებულ მხარეში ქართული მოსახლეობა ნახევარსაც კი ვერ აღწევს, ასე რომ ერთი ისტორიული სოფელი ნაგები აღადგინა და დაასახლა ავთანდილ მარგიანმა, და სწორედ ამ ტიპის მოღვაწეები გვესაჭიროება იქაც, სადაც ჯერ კიდევ ბევრი რამეა მოსაგვარებელი. ესეც ბრძოლის ველია, ერთმა ორის და სამის მაგიერობა უნდა გასწიოს. პირდაპირ გულდასაწყვეტია, რომ ასეთ მხარეში უწესობა და განუკითხაობა გამეფებულა.

ბუნებრივია, ერთი მოკლე სიტყვით ეს ვითარება არ გამოსწორდება. უწინარეს ყოვლისა, დაუშვებელ კადნიერებად მიმაჩნია, თუ მართალია, რომ აზერბაიჯანული მოსახლეობის ნაწილი ფარულად აქტიურობს და ლამობს სვანებს აუმხედროს სხვა ქართველები (ასეთი თავხედური ტენდენცია სხვაგანაც შეინიშნება). სვანი სვანია და სტიქიით დაზარალებულ სვანთა დასახლება ქართულ მიწაზე არავისი საქმე არაა, საკუთარს მიხედონ! ეს ერთი.

მეორეც, სწორედ ასეთი ვითარება გვავალებს, რომ ყოველი სვანი — რიგითი, პრეფექტურაში ამორჩეული თუ დანიშნული სასურველ სიმაღლეზე იდგეს და არავის მისცეს საბაბი, რომ აუგად ილაპარაკონ იმ რაღაც ათასამდე სვანზე, რომელიც გარდაბანშია ჩასახლებული. სამწუხაროდ, ასეთი ლაპარაკის საფუძველს შინაურსაც და გადამთიელსაც ბევრი სვანიც აძლევს და ამ სავალალო ხინჯის გაჯანსაღება მხოლოდ ეროვნული თვითშეგნების ამაღლებით მოხდება — იმ შეგნებით, რომ ერთმა სვანმაც არ უნდა გადაუხვიოს სიტყვით და საქმით საქართველოს ერთგულების ათასწლოვან ტრადიციას.

რა დასაფარავია და მრავალი ღირსეულის გვერდით ბევრი ულირსის ამბავიც გვესმის და არაერთხელ გვთხოვეს მივხედოთ ამ საქმეს. აქვს ადგილი ზედმეტ სმას, ღრეობას, აყალმაყალს, უსაქმურობას, ჩხუბს, რაც პატივს არა სდებს იმ კუთხეს, საიდანაც მოვსულვართ. დღეს, როცა მთელს ერს ესაჭიროება განსპეტაკება, კათარზისი, პირველთაგანი ჩვენ უნდა ვიყოთ. ესაა პირველი თხოვნა.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ხსენებულ უწესობათა გამო პასუხი უნდა აგონ პიროვნებებმა და არა საერთოდ „სვანებმა", ალალმა მაშვრელებმა, ინტელიგენციამ, რომელიც ერთგულია თავისი კუთხის, რესპუბლიკის, პრეზიდენტისა. სხვაგვარად საკითხის დასმა თავისთავად უსამართლობაა. ამას იმიტომაც ვამბობთ, რომ ბოლო ხანებში შეინიშნება ერთგვარი ტენდენცია სვანთა სახელის გატეხვის, ნიველირების მცდელობანი, რასაც არავითარი სამართლებრივი და მორალური გამართლება არ მოეძებნება. ზოგი კარიერისტი ამ მავნე ტენდეციას აღვივებს, თითქოს სხვა პრობლემები აღარ გვქონდეს. ბ-ნ ირაკლი ლომოურის სტატიაში ეს მომენტი მიჩქმალულია და იქმნება რაღაც ზოგადი ბრალდების შთაბეჭდილება, რასაც გარდაბნელი (და არა მარტო გარდაბნელი) სვანების სამართლიანი უკმაყოფილება მოჰყვა. ნუ გავაიგივებთ ამ ჭრილობას, გავარჩიოთ ტომი და პიროვნებანი, სწორედ შევარჩიოთ კადრები, რომ უხეში, უკულტურო და გაუნათლებელი ადამიანები არ მოხვდნენ თანამდებობაზე, განუკითხაობის ორპირ ქარში არ შენელდეს შრომის რიტმი, რაც რესპუბლიკას ასე ესაჭიროება.

ენერგიული, ნიჭიერი, მცოდნე პიროვნება რასაც ნიშნავს, ეს ცნობილია მსოფლიო ისტორიიდანაც და კერძოდ საქართველოს ისტორიიდან. ძლიერი პიროვნება რამდენიმე წლის განმავლობაში ფეხზე აყენებდა დაქცეულ ქვეყანას, ქალაქს თუ სოფელს. პიროვნება ესაჭიროება ოჯახს, სახელმწიფოს და სოფელს. მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობით დაინტერესებული საქმოსანი სოფელს თავკაცად არ გამოადგება. კადრების შერჩევისას პატიოსნებით ცნობილ და გამოჩენილ ადამიანებსაც უნდა ჰკითხონ. წარმატებას მიაღწევს ის, „ვინც გამორჩევით მქმნელია". ესეც ხომ მარადიული პრობლემაა! ვინც მუჯლუგუნებით მიიწევს წინ და ადამიანთა თავებზე ლამობს ასვლას, რადგან იქ მეტი ჰაერია, საქმეს არ უნდა გავაკაროთ. დანაშაულს სჩადიან არა მარტო გარდაბნელები და არა მარტო სვანები, არამედ ულირსნი, ბოროტნი, ეგოისტები მსოფლიოს ყოველ კუთხეში. ჩვენი პირველი საერთო საზრუნავი ისაა, რომ დანაშაული ნაკლები ხდებოდეს, მავნე ელემენტებს გზები ჩაეკეტოთ, ხალხის ენერგია ხალხის კეთილდღეობას ხმარდებოდეს.

საამისოდ კი, საერთო შეგნების ამაღლების გარდა, აუცილებელია წესრიგის დამყარება თვით პრეფექტურაში, მმართველობაში, სადაც ყველაფერი რიგზე არაა.

როგორც საშეფო კომისიის წევრი, ადრევე გავეცანი ზოგ გარემოებას და გარდაბნის რაიონის ვითარებაც ნაწილობრივ ვიცი: სამწუხაროდ, ვერ დავიტრაბახებთ, რომ იქ საქმე წინ წასულა. პრეფექტის თვითნებობაზე და უპასუხისმგებლობაზე დიდი ხანია ლაპარაკობენ და ბ-ნ ირ. ლომოურის არგუმენტების გამეორებას არ შევუდგებით.

პრეფექტის მოადგილე, ქ-ნი მზია გულბანი გადაეკიდა რაიალმასკომის საქმეთა მმართველს თამაზ გოზალიშვილს, ორი შვილის მამას, პატიოსან ახალგაზრდას, რომელსაც აქვს უმაღლესი ცოდნა და საქმიანი სტილი: წაუყენა მოთხოვნა, ან ჩვენი მოწინააღმდეგეების (?) სია ჩამოგვიწერე, ან წადიო. ძველი კადრი არ გვინდაო და ა. შ. მაშინ მე ვავაზიანი წერილით მივმართე პრეფექტს და... პასუხიც არ მაღირსა, რამაც გამაოცა. არ ვიცი, ამპარტავნობაა ეს თუ მოუცლელობა. ყველა რანგისა და იერარქიის [illegible] იცლიან და რა ისეთი საქმე უნდა ჰქონოდა გარდაბნის პრეფექტს, რომ ორი სტრიქონი ვერ მოეწერა? ეს დეტალი აღნიშვნის საგანიც არ იქნებოდა, მაგრამ ნიმუშია უყურადღებობისა. სადაც მეტი ურთიერთგაგება, კონტაქტები და განსჯაა, იქ ხინჯი და ჩრდილიც ნაკლებია. ადამიანები პაიკები როდი არიან, რომ ჩვენი ჭირვეულობით ავიღოთ და თვითნებურად გადავაადგილოთ. უფლებების მომატებით ადამიანს გულისხმიერება და პასუხისმგებლობაც ემატება. ბევრი პრეფექტი ვერ ამართლებს ეგზომ დიდ პატივს და ბატონკაცურად იქცევა თავის „საბრძანებელში", რაც პრაქტიკულად ქმნის იმის აუცილებლობას, რომ ამ ინსტიტუტს ჩვენში მეტი დახვეწა, კულტურა და რესპუბლიკის ცხოვრების ჰარმონიულ რიტმში ჩაყენება ესაჭიროება. ეს უბრალო ჭეშმარიტება მარტო გარდაბანს როდი ეხება.

სხვა პირებსა და მტკივნეულ საკითხებს ამჯერად არ შევეხები. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ გარდაბანშიც, ისევე როგორც ყოველ სხვა რაიონში, ბევრი რამეა მოსაწესრიგებელი, და რაც უფრო მალე მოხდება ეს მოწესრიგება, მით უკეთესი იქნება რესპუბლიკისათვის, რომლის მნიშვნელოვან რეგიონსაც ის წარმოადგენს — კარგი ადამიანებით და სერიოზული საქმეებით.

მაგრამ აქ არ შეიძლება არ შევეხოთ იმ სტატიის სტილსა და ტენდენციას, რომელმაც ამ პასუხის დაწერა გვაიძულა.

„რა ხდება გარდაბანში" უდავოდ ვიღაცის ნაკარნახევი და ნაწილობრივ არასწორი ინფორმაციის შედეგია. მისი სუსხი უწინარეს ყოვლისა სვანებზეა მიმართული და ასე განურჩევლად განკითხვა იმ ქართული ტომისა, რომლის წინაპრებიც დავით აღმაშენებლის ავანგარდში მდგარი და თამარ მეფის ლაშქრის ბურჯნი ყოფილან, გაუმართლებელი კადნიერებაა. ვიმეორებთ, ცალკეული ულირსნი ყველგან მოიძებნებიან, მაგრამ ასე უცნაურად „სვანებზე" აქცენტის გადატანა მიუღებელია. რას ნიშნავს, მაგალითად, „სვანური წარმოშობის თანამდებობის პირთა სია?" „ერთ-ერთი ქალბატონი ბუნებით პათოლოგიურია?" „სვანური წარმოშობის თანამდებობის პირთა დანიშვნა?" „ადგილობრივი მოსახლეობა ჩივის, რომ სვანეთიდან ჩამოსახლებულ პირთა მხრიდან დისკრიმინაციას განიცდის"? „სვანური წარმოშობის ქართველი მხოლოდ 962 კაცია" და სხვა მისთანები! როგორ შეიძლება ასე წერა? აქ შეიძლება ერთგვარი პარალელის გავლება იმასთან, რასაც „აბხაზიაში" შეფარვით თუ აშკარად წერენ ქართველებზე აფსუები. ეს ალმაშფოთებელი ტენდენციაა. ხომ არ არის ეს გაზვიადებული „ეთნოკონფლიქტების," „ფეთქებადსაშიში" მდგომარეობის დემონსტრირება მიმართული პრეზიდენტის პრესტიჟის წინააღმდეგაც? საკადრო პოლიტიკაში დაშვებული ცალკეული შეცდომები აშკარაა და ისინი გამოსწორდება, მაგრამ „ფეთქებადსაშიში" მითი ნამდვილად გაზვიადებულია. ჩვენ ვისაც ვკითხეთ, გულწრფელად გვითხრეს, რომ აზერბაიჯანელები ჩვენთან მეგობრულად არიან და არა აქვს ადგილი მათგან „ქართველების წაქეზებას" „სვანური წარმოშობის ქართველებთან".

ყოველივე ეს ავტორიტეტულმა კომისიამ უნდა გამოიკვლიოს, მაგრამ სვანთა სახელის გატეხვის მიზნით წამოწყებული პასაჟები უნდა შეწყდეს. რესპუბლიკას ეყოფა სხვა პრობლემები და ახალ კერებს ნუ გავაჩენთ.

**აკაკი გელოვანი**

**რედაქციისაგან:**

**ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილს „რა ხდება გარდაბანში?" დიდი გამოხმაურება მოჰყვა. როგორც ჩანს, ჩვენ სამართლიანად დავიმსახურეთ მკითხველთა ერთი ნაწილის უკმაყოფილება იმის გამო, რომ მოუქნელი, შეუსაბამო, გნებავთ, უხეში სიტყვათშეთანხმება — „სვანური წარმოშობის ქართველები" ვიხმარეთ. ვინაიდან საყვედურებისა და უკმაყოფილების ნაკადი არ წყდება, რედაქცია თავს ვალდებულად მიიჩნევს სრულიად ცალსახად განაცხადოს თავისი პოზიცია.**

**არ გვეგონა, თუ ჩვენს გაზეთს, ან პირადად ბატონ ირაკლი ლომოურს — ქართველ კაცს, მწერალს, ისტორიკოსს ოდესმე დასჭირდებოდა იმის მტკიცება ან ჩაგანგებოდ ხაზგასმა, რომ მან იცის: — სვანეთი ისეთივე საქართველოა, როგორც რაჭა, სამეგრელო, ქართლი, იმერეთი ან ლეჩხუმი; რომ ბატონი ირაკლი (ისევე როგორც ყველა ჩვენგანი) საქართველოს მრავალფეროვან მთლიანობაში აღიქვამს. მას ისევე უყვარს, ეძვირფასება და ხიბლავს სვანეთი და სვანები, როგორც ყველაფერი ქართული, ყველაფერი, რაც ქართულ სულს, ქართულ არსს გამოხატავს. მეტიც, ჩვენ ყველას გვწამს, რომ იმ ეპოქაში, როცა მთელი ერები ივიწყებენ მშობლიურ ენას, უცხოს არჩევენ — ინგლისურად საუბრობენ ან მღერიან, განსაკუთრებით ზასაფრთხილებელია თითოეული ქართული კუთხის თვითმყოფადობა, ენა, ტრადიცია, წეს-ჩვეულება; ამიტომ გვახარებს მთავარ ქართულის გვერდით სვანური ან მეგრული სიტყვის გაგონება. დამამცირებლადაც კი გვეჩვენება დღეს ამის მტკიცება.**

**დასანანია, რომ მექანიკური შეცდომა ესოდენ მკაცრი მსჯელობის საგანი გახდა. იძულებული ვართ განვმარტოთ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი ასე იდგა: რედაქციაში შემოსულ საჩივართა უმრავლესობა შეეხებოდა გარდაბნის პრეფექტის მიერ თვისტომთა დაწინაურებასა და მათ გამორჩევას დანარჩენი მოსახლეობისაგან. ეს დაპირისპირება რაღაცნაირად უნდა ასახულიყო წერილში, ამიტომ გაჩნდა გამოთქმა, რომელმაც ამდენი უკმაყოფილება გამოიწვია. ამისთვის ჩვენ უკვე მოვიხადეთ ბოდიში.**

**მოდით ვთქვათ მართალი — საქმე გვაქვს ხელოვნურად შექმნილ უკმაყოფილებასთან, რომელიც საგანგებოდ არის ორგანიზებული. ამ დასანანი მექანიკური შეცდომის გარშემო, რომელიც პრინციპში მხოლოდ დეტალია, იმიტომ შეიქმნა აჟიოტაჟი, რომ მწვავე პრობლემა ყურადღების მიღმა დარჩენილიყო.**

# საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონი

## ცხოვრების ხარისხი

**ცხოვრების** ხარისხი თანამედროვე დასავლური საზოგადოების სოციალურ პოლიტიკური ლექსიკონის პოპულარული ტერმინია. ცხოვრების ხარისხი მოდური თემაა სოციოლოგიურ კვლევაში, პუბლიცისტიკაში, სამეცნიერო კონფერენციებზე. ამ ცნებას ხშირად შეხვდებით პოლიტიკური პარტიების პროგრამებსა და საარჩევნო ლოზუნგებში, ლიტერატურაში, ყოველდღიურ საუბრებში.

ამერიკელი ეკონომისტი და სოციოლოგი უ. როსტოუ: „მაღალი მასობრივი მოხმარების ამერიკული საზოგადოება 50-იან წლებში გადავიდა ახალ სტადიაში — ხარისხის ძიებაში". ამერიკელი ისტორიკოსი და სოციოლოგი ა. ტოინბი: „ცხოვრების სტანდარტი ეს არის საშუალება, ხოლო ცხოვრების ხარისხი არის მიზანი". „დასავლეთისთვის ცხოვრების დონის პრობლემა ნაკლებ მნიშვნელოვანია ცხოვრების ხარისხის პრობლემასთან შედარებით" — ფრანგი სოციოლოგი რ. არონი. გერმანელმა სოციოლოგმა ჰაბერმასმა კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცხოვრების ხარისხის ამაღლების პროგრამაც შეადგინა.

ტერმინი „ცხოვრების ხარისხი" პირველად გამოჩნდა ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის ჯ. გელბრეითის წიგნში „სიუხვის საზოგადოება" (1968 წ.). კონცეფციის სახით კი 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში დამკვიდრდა ამერიკულ და დასავლეთევროპულ სოციოლოგიაში. ამ პერიოდიდან რეგულარულად ტარდება კონკრეტული (ემპირიული) სოციოლოგიური გამოკვლევები ამ სფეროში. ფართო სპექტრის ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე მიღებულია განზოგადებული დასკვნები და შედეგები: იცხოვრე და აცხოვრე სხვაც, უკეთესია იყო მდიდარი და ჯანმრთელი, ვიდრე ღარიბი და ავადმყოფი, ცხოვრება კარგია, მაგრამ უკეთ ცხოვრება უფრო უკეთესია.

ცხოვრების ხარისხი (ცხოვრების ახალი ხარისხი) თანამედროვე სოციოლოგიაში ეს არის ადამიანის მატერიალური და კულტურული ცხოვრების ხარისხობრივი მხარე, რომელიც გარკვეული სტანდარტების და დონეების შედარებით მიღებულ მახასიათებლებში ისახება. უფრო მოკლედ — ეს არის ცხოვრების ხარისხობრივი მხარე. დღეს რომ ისადილეთ და, ვთქვათ, თევზი მიირთვით, სკუმბრია იყო ის თუ ზუთხი? ზოგ ქვეყანაში ცხოვრების ძირითადი შინაარსი სიღარიბესთან ბრძოლაა, ზოგან — ცხოვრების ხარისხი.

ცხოვრების ხარისხი უპირისპირდება ცხოვრების რაოდენობრივ მხარეს.

ჩვენ გვინდა ისეთი საზოგადოება, სადაც მატერიალური წარმატებები ხელიხელჩაკიდებული იქნება ისეთ ღირებულებებთან, რომლებიც ცხოვრების ხარისხს აამაღლებენ — ამბობენ ამერიკელები.

ცხოვრების ხარისხს იკვლევენ სხვადასხვა მეთოდებით — დაწყებული ინდივიდებისა და ჯგუფების მიერ საზოგადოებაში თავისი მდგომარეობის შეფასებით, კმაყოფილების ხარისხით და დამთავრებული იმ სპეციფიკური ფაქტორების აღრიცხვით, რომელთა ერთობლიობის საფუძველზე ცხოვრების ხარისხი შეიძლება გაირკვეს. ასეთი სოციალური ინდიკატორები (მაჩვენებლები) შეიძლება იყოს ჰაერისა და წყლის ხარისხი, საკვების ღირებულება და ხარისხი, საცხოვრებელი ფართობი და კომუნალური მომსახურების დონე, ოჯახური ცხოვრებითა და სამუშაოთი კმაყოფილების დონეები, თავისუფლება, დემოკრატია, სპორტი, თავისუფალი დროის გამოყენება და ა. შ. მოკლედ ადამიანთა ცხოვრების სულიერი პარამეტრები. როგორც ვხედავთ, ცხოვრების ხარისხის ცნების შინაარსი უკიდეგანოა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს არ არის ცხოვრების დონე, სტანდარტი და სხვ., რაც ადამიანთა მატერიალური მოთხოვნების სფეროა. ცხოვრების ხარისხის კომპონენტები არამატერიალური ხასიათისაა.

ცხოვრების ხარისხის კონცეფციაში ასახულია ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგებთან დაკავშირებული პრობლემები. დამთავრდა ინდუსტრიული საზოგადოების ერა და იწყება ჰუმანური კაპიტალიზმის ეპოქა, რომლის ძირითადი მიზნები წარმოება და მატერიალური კეთილდღეობა კი არ არის უკვე, არამედ ადამიანთა ცხოვრების პროდუქტიულობა, ხარისხი. დაიწყო ხარისხის ძიება. ეს გამოიხატებოდა პოლიტიკური ხასიათის, განათლების დონის ამაღლების, ჯანდაცვის, დასვენების, გარემოს დაცვის, ტექნიკური პროგრესის უარყოფითი შედეგების შემცირების, ქალაქური ცხოვრების წესის მანკიერებათა, სიღარიბის, არათანაბარ უფლებათა წინააღმდეგ ბრძოლის და სხვ. მოთხოვნებში.

ცხოვრების ხარისხის იდეას იდეოლოგიური მისიაც აკისრია — დაიცვას დასავლური საზოგადოების ძირითადი ღირებულებები მუდმივად ცვალებად პირობებში. „მასობრივი მოხმარებისა" და „სიუხვის საზოგადოებამ" უზრუნველყო ადამიანთა საყოველთაო მატერიალური კეთილდღეობა. აქტუალურ საკითხად იქცა ცხოვრების წესის ხარისხობრივი მხარე ანუ ცხოვრების ხარისხი, რომლისთვისაც გაცილებით მნიშვნელოვანია „გრძნობადი" მაჩვენებლები, ვიდრე ისეთი ობიექტური მაჩვენებლები, როგორიც არის შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, ავტომანქანების რაოდენობა და სხვ., მაგრამ როგორც სორბონის უნივერსიტეტის კედელზე წერია, ჩვენ არ შეიძლება შეყვარებულები ვიყოთ ეკონომიკური ზრდის ტემპებში.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცხოვრების ხარისხის კონცეფცია დასავლური სიუხვის საზოგადოების თავისებურ ვიტრინად იქცა იდეოლოგიურ ბაზარზე.

არსებობს ცხოვრების ხარისხის განსაზღვრის სხვადასხვა მეთოდები. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია რეკომენდაციას იძლევა ის განისაზღვროს 12 ასპექტით: ჯანდაცვის მდგომარეობა, არსებობის საშუალებები, აღზრდა, შრომის პირობები, მოსახლეობის დასაქმებულობა, მოხმარება და მარაგი, ტრანსპორტი და კომუნიკაციები, საბინაო პირობები და ბინათმშენებლობა, ტანსაცმელი, დასვენება და გართობა, სოციალური სიმშვიდე.

გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისია 8 მთავარი პუნქტისგან შემდგარ სოციალურ ინდიკატორებს გვთავაზობს: ჯანმრთელობა, სამუშაო ადგილის ხარისხი, საქონლის ყიდვა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, თავისუფალი დროის გატარების შესაძლებლობა, სოციალური სიმშვიდის გრძნობა, პიროვნების განვითარების შანსი, ფიზიკური გარემოს ხარისხი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება.

ლონდონის ჟურნალი „ეკონომისტი" უფრო მეტ სოციალურ ინდიკატორებს გვთავაზობს: რამდენ მცხოვრებს ემსახურება ერთი ექიმი, თვითმკვლელობათა პროცენტი, ბავშვთა სიკვდილიანობა, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რაოდენობა, ტელევიზორებისა და ტელეფონების რაოდენობა. სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად სიკვდილიანობის პროცენტი, მოსახლეობის სიმჭიდროვე, ადრეული ქორწინებების და განქორწინებების რაოდენობა, ეკონომიკის განვითარება და სხვ.

ცნობილი ფუტუროლოგი უ. ფორესტერი უფრო კომპაქტურ 4 ინდიკატორს გვთავაზობს: საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა და მომარაგება, ცხოვრების სტანდარტის განმსაზღვრელი კაპიტალდაბანდებები, გარემოს დაბინძურება, მოსახლეობის ზრდის ტემპი.

ცხოვრების ხარისხის შესწავლისა და კოორდინაციის მიზნით 1974 წლიდან გამოდის საერთაშორისო დისციპლინათშორისი ჟურნალი ცხოვრების ხარისხის გაზომვის პრობლემებზე „Social indicators Research" („სოციალური ინდიკატორების კვლევა").

**ნოდარ კერესელიძე**


რედაქტორი მარიკა აბაიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, თედო პაატაშვილი, ზურაბ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14. ტელეფონი 98-81-87.

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა № [illegible]

ინდექსი 66421